საქართველოს მთავრობის

დადგენილება №77

2018 წლის 14 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს მთავრობის რეგლამენტი“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №54 დადგენილება.

2. „საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის მიერ კანონით განსაზღვრულ ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №135 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის რეგლამენტი
კარი I
ზოგადი დებულებანი

თავი I
საქართველოს მთავრობის საქმიანობის ზოგადი საფუძვლები

მუხლი 1. საქართველოს მთავრობის რეგლამენტის რეგულირების სფერო

1. საქართველოს მთავრობის (შემდგომში – მთავრობა) მუშაობის, მთავრობის გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების, მათ შორის, საქართველოს მთავრობის სხდომის (შემდგომში – მთავრობის სხდომა) მომზადების, წარმართვის, მთავრობის სხდომაზე, მათ შორის, მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე მთავრობის თანხმობის მიღებისა და საქართველოს პრეზიდენტის (შემდგომში – პრეზიდენტი) სამართლებრივი აქტების კონტრასიგნაციის წესი, აგრეთვე, მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის (შემდგომში – პრემიერ-მინისტრი) საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურული და საორგანიზაციო საკითხები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის რეგლამენტით (შემდგომში – რეგლამენტი).

2. რეგლამენტი, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, მტკიცდება მთავრობის დადგენილებით და მისი შესრულება სავალდებულოა.

3. მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იმ პროცედურულ საკითხს, რომელიც მოწესრიგებული

არ არის ამ რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით, წყვეტს მთავრობა.

მუხლი 2. მთავრობის საქმიანობა

1. მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

2. მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულების, აგრეთვე, სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით.

3. მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის (შემდგომში – პარლამენტი) წინაშე.

მუხლი 3. მთავრობის საქმიანობის საფუძვლები

1. მთავრობის უფლებამოსილებანი აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში, მისი სტრუქტურა და შემადგენლობა, აგრეთვე საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და მთავრობის ნორმატიული აქტებით.

2. მთავრობა, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, ხელმძღვანელობს სამთავრობო პროგრამით.

მუხლი 4. მთავრობის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა

1. სამთავრობო პროგრამის, მთავრობის ყოველწლიური პრიორიტეტებისა და ამოცანების და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, მთავრობა ყოველი წლის არაუგვიანეს 30 ნოემბრისა ამტკიცებს მომავალი წლის მთავრობის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას (შემდგომში – გეგმა).

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის (შემდგომში – მთავრობის ადმინისტრაცია) შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ყოველწლიურად აზუსტებს მთავრობის პრიორიტეტებსა და ამოცანებს და დაზუსტებულ პრიორიტეტებს და ამოცანებს წარუდგენს მთავრობას დასამტკიცებლად.

3. მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, მთავრობის ყოველწლიური პრიორიტეტების და ამოცანების შესრულების მიზნით, გამოითხოვს სამინისტროებიდან და სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)იდან მომდევნო წლისათვის დაგეგმილ კონკრეტულ ღონისძიებებს (შემდგომში – აქტივობები), მათ შორის, ინფორმაციას ყოველწლიურ პრიორიტეტებსა და ამოცანებთან მიმართებით, დონორთა დახმარების მიმდინარე და ახლად წარმოქმნილი საჭიროებების შესახებ, სპეციალურად შემუშავებული ფორმის სახით, რომელსაც ამტკიცებს პრემიერ-მინისტრი.

4. მთავრობის ყოველწლიური პრიორიტეტების და ამოცანების შესასრულებლად, სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ი აქტივობებს წარადგენენ მთავრობის ადმინისტრაციაში შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 1 თვის ვადაში.

5. სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის მიერ წარდგენილი აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს მთავრობის პრიორიტეტებს, ამოცანებსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს. ამასთან, სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის მიერ წარდგენილი აქტივობები, შესაძლებელია, იყოს მნიშვნელოვანი რეფორმა, ინსტიტუციური ცვლილება თუ სხვა დაგეგმილი საქმიანობა, რომელთა გატარების შედეგად მიღწეული და შესრულებული იქნება მთავრობის პრიორიტეტები და ამოცანები.

6. მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის მიერ აქტივობების წარდგენის შემდეგ, 1 თვის ვადაში, ადგენს გეგმის პროექტს და წარუდგენს მთავრობას დასამტკიცებლად.

7. გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება 6 თვეში ერთხელ, მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

8. მთავრობის ყოველწლიური პრიორიტეტებისა და ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, დონორთა დახმარების უკეთ მობილიზაციისა და ურთიერთგადაფარვების თავიდან ასაცილებლად,

სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ი 6 თვეში ერთხელ აწვდიან ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს დონორებთან მიმდინარე მოლაპარაკებისა და მათი სტატუსის შესახებ.

მუხლი 5. პრემიერ-მინისტრი

1. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი. იგი ხელმძღვანელობს მთავრობას, საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს მთავრობის სხვა წევრების საქმიანობას და მთავრობის საქმიანობისათვის პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

2. პრემიერ-მინისტრი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.

მუხლი 6. მთავრობის ადმინისტრაცია

1. მთავრობის ადმინისტრაცია შექმნილია მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით.

2. მთავრობის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი.

3. მთავრობის ადმინისტრაციის მიმდინარე საქმიანობას უძღვება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი (შემდგომში – მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი).

მუხლი 7. მთავრობის სამართლებრივი აქტები

1. მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს, რომელთაც, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

2. მთავრობის სამართლებრივი აქტები შეიძლება მიღებულ იქნეს მთავრობის სხდომაზე მათი განხილვის შემდეგ ან მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე, „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით.

3. მთავრობის სამართლებრივი აქტების მომზადების, მათი გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება მთავრობის მიერ, ფორმდება მთავრობის სამართლებრივი აქტის სახით. მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამის პროექტს, საკითხის შესწავლის შემდეგ, შეიმუშავებს ინიციატორი უწყება, რომელსაც მთავრობის წინაშე ეკისრება მის შედეგებზე პასუხისმგებლობა, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

5. პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის მოწონების, წინასწარი შეთანხმების, შეთანხმების, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის მიერ მისი კონტრასიგნაციის თაობაზე მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს განკარგულების სახით.

6. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ საკითხებს მთავრობა განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ან/და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხების გამოყოფის შემთხვევაში, მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის შინაარსსა და შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ საბიუჯეტო ორგანიზაციას/მუნიციპალიტეტს/ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის ორგანოს, რომლისთვისაც ხორციელდება თანხის გამოყოფა.

კარი II

თავი II

სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავებისა და ინიციირების წესი

მუხლი 8. სამართლებრივი აქტის პროექტის ინიციირების უფლება

1. სამართლებრივი აქტის პროექტის (შემდგომში – პროექტი) ინიციირების უფლება აქვთ შემდეგ უწყებებს/თანამდებობის პირებს (შემდგომში – ინიციატორი უწყება):

ა) სამინისტროებს;

ბ) სახელმწიფო მინისტრე(ბი)ს აპარატ(ებ)ს;

გ) პრეზიდენტს;

დ) მთავრობის ადმინისტრაციას;

ე) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს;

ვ) მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებულ დაწესებულებასა და სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს;

ზ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურს;

თ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

კ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას;

ლ) სახელმწიფო რწმუნებულებს – გუბერნატორებს;

მ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებსაც არ ჰყავთ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო (გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებებისა).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ინიციირებას ახორციელებს შესაბამისი ინიციატორი უწყების ხელმძღვანელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ინიციატორი უწყების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მიერ პროექტის ინიციირებისას (სამინისტროს/სახელმწიფო მინისტრის აპარატის შემთხვევაში – გარდა მინისტრის/სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილისა) წარდგენილი უნდა იქნეს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. მუნიციპალიტეტები (გარდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა) პროექტის ინიციირებას ახორციელებენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მეშვეობით.

4. პარლამენტის სამართლებრივი აქტებით მთავრობისათვის გაცემულ დავალებათა შესრულების მიზნით, პროექტის ინიციირებას უზრუნველყოფს შესაბამის დარგში პოლიტიკის გამტარებელი სამინისტრო(ები), სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ი. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ასეთი ორგანოს დადგენა, მას განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 9. პროექტის ინიციირების წესი

1. ინიციატორი უწყება, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, შემუშავებულ პროექტს ელექტრონული ფორმით მთავრობის წევრებს შესათანხმებლად უგზავნის „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით.

2. ინფორმაცია საკითხის ინიციირების შესახებ შესაბამის პროექტთან ერთად ელექტრონული ფორმით ეგზავნება მთავრობის ადმინისტრაციას.

მუხლი 10. პროექტი და მასზე თანდართული მასალები

1. ამ რეგლამენტის მე-8 მუხლით განსაზღვრული ინიციატორი უწყება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიმუშავებს პროექტს.

2. პროექტს თან უნდა ერთოდეს:

ა) ამ რეგლამენტის დანართ №1-ის შესაბამისად შევსებული განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება წარდგენილი პროექტის არსი – ინფორმაცია პროექტის შესახებ (ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ, მისი მიღების მიზეზი და მიზანი; საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივი აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება), პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება, პროექტის მოსალოდნელი შედეგები, პროექტის განხორციელების ვადები და პროექტის ავტორ(ებ)ი და წარმდგენი;

ბ) თანდართული მასალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც შეიძლება იყოს:

ბ.ა) მთავრობის განკარგულების პროექტი (პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენის შემთხვევაში);

ბ.ბ) ხელშეკრულების ან სხვა შეთანხმების პროექტი;

ბ.გ) პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებში, ამ პუნქტის მიზნებისათვის, მოიაზრება მხოლოდ იმ დოკუმენტის/მასში ცვლილების პროექტი, რომელსაც იწონებს, რომელსაც დებს საქართველოს მთავრობა, ან რომელიც იდება საქართველოს მთავრობის სახელით) წარმოადგენს უცხოენოვან მასალას, ინიციირებისას, პროექტს თან უნდა ერთოდეს მასალის ქართული თარგმანი, რომლის შესაბამის უცხოენოვან ავთენტურ ტექსტთან იდენტურობაზე პასუხისმგებელია ინიციატორი უწყება.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი იწვევს სხვა სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას, მთავრობას განსახილველად აგრეთვე უნდა წარედგინოს შესაბამისი პროექტი ამ სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, ერთიანი პაკეტის სახით.

თავი III

პროექტის მთავრობის წევრებსა და მთავრობის ადმინისტრაციასთან შეთანხმების წესი

მუხლი 11. პროექტის შეთანხმების პროცედურა

1. მთავრობის წევრები ვალდებულნი არიან, პროექტის ინიციირებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში სპეციალურ ველში დააფიქსირონ პროექტის თაობაზე მთავრობის წევრის პოზიცია: „თანახმა ვარ“ ან „არ ვეთანხმები“.

2. მთავრობის წევრები ვალდებულნი არიან, „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში ატვირთონ პროექტის თაობაზე საკუთარი უწყების დასაბუთებული შენიშვნა (შენიშვნები), თუ:

ა) ეთანხმებიან პროექტს, მაგრამ აქვთ გარკვეული შენიშვნები;

ბ) არ ეთანხმებიან პროექტს.

3. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის წევრი დადგენილ ვადაში არ დააფიქსირებს პოზიციას, საკითხი არ ჩაითვლება მასთან შეთანხმებულად.

4. პროექტი შეთანხმებულად ითვლება, ხოლო შეთანხმების პროცედურა – დასრულებულად, თუ „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში დაფიქსირდა არანაკლებ მთავრობის 9 წევრის დადებითი პოზიცია, მათ შორის, სავალდებულოა საქართველოს იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების მინისტრების, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ასევე შესაბამისი დარგობრივი მინისტრის დადებითი პოზიციების დაფიქსირება.

5. ამ მუხლის მე4 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების პროცედურის გაუვლელობა ინიციატორ უწყებას არ ზღუდავს, ხელახლა ატვირთოს მთავრობის წევრებთან შეთანხმების მიზნით იგივე პროექტი.

6. მთავრობის წევრების მხრიდან შენიშვნების არსებობისას, ინიციატორი უწყება, ამ შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში, ვალდებულია, მთავრობის ადმინისტრაციაში წარადგინოს პროექტის კორექტირებული ვერსია, ხოლო შენიშვნების ნაწილობრივ გათვალისწინების/გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ვალდებულია, მთავრობის ადმინისტრაციაში წარადგინოს შეთანხმების ფურცელი, ამ რეგლამენტის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით.

მუხლი 12. პროექტის მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენა

1. ინიციატორი უწყება სათანადო წესით შეთანხმებული პროექტისა და პროექტის წარდგენის თაობაზე დაწესებულების ხელმძღვანელის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის მიერ ხელმოწერილი წერილის დედანს მთავრობის ადმინისტრაციას წარუდგენს მატერიალური ფორმით (პროექტს თან უნდა ახლდეს სამართლებრივი აქტის რედაქტირებადი ელექტრონული ვერსია MS Word/MS Excel-ის ფაილის სახით). მატერიალური ფორმით წარდგენილ პროექტს, ინიციატორი უწყების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ინიციირებისას (სამინისტროს/სახელმწიფო მინისტრის აპარატის შემთხვევაში – გარდა მინისტრის/სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილისა), თან უნდა დაერთოს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. წარდგენილი პროექტის მატერიალური და ელექტრონული ვერსიის იდენტურობაზე პასუხისმგებელია ინიციატორი უწყება. შეუსაბამობის არსებობისას, უპირატესობა ენიჭება მატერიალური ფორმით წარდგენილ პროექტს.

2. ინიციატორი უწყება, აუცილებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია, ამ რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეთანხმებულ პროექტში მთავრობის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, შეიტანოს მხოლოდ ტერმინოლოგიური, პროექტის ამოქმედების ვადასთან დაკავშირებული და სხვა ტექნიკური ხასიათის ცვლილება და წარადგინოს პროექტი მთავრობის ადმინისტრაციაში.

3. ამ რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვის გარეშე წარდგენილი პროექტი ინიციატორ უწყებას უბრუნდება განხილვის გარეშე.

4. ამ რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მთავრობის სხდომაზე განსახილველი საკითხის წარდგენა მთავრობის ადმინისტრაციაში უნდა მოხდეს არაუგვიანეს სამშაბათისა, 12:00 საათამდე. კვირის სხვა დღეს მთავრობის სხდომის დანიშვნის შემთხვევაში, მთავრობის ადმინისტრაციაში საკითხის წარდგენა უნდა მოხდეს მთავრობის სხდომის გამართვის თარიღამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე, 12:00 საათამდე. აღნიშნული ვადის დაუცველად წარდგენილი პროექტები განიხილება მომდევნო მთავრობის სხდომის დღის წესრიგის მოსამზადებელ ეტაპზე.

5. მთავრობის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს წარდგენილი პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას, რისთვისაც პროექტი გადაეცემა მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს (შემდგომში – იურიდიული დეპარტამენტი).

6. სამართლებრივი ექსპერტიზა გულისხმობს პროექტის შესაბამისობის დადგენას თანაბარი და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ აქტებსა და სამართლის ზოგად პრინციპებთან.

7. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის ადმინისტრაციაში საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა პროექტის დამატებით რომელიმე სხვა დაინტერესებულ უწყებასთან (უწყებებთან) (მათ შორის, თანამდებობის პირთან/მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულთან) შეთანხმების საჭიროება, მთავრობის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროექტის გადაგზავნას შესაბამისი უწყებისთვის (უწყებებისთვის).

8. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი საჭიროებს შეთანხმებას სხვადასხვა უწყებასთან ან/და თანამდებობის პირთან და ინიციატორი უწყება ვერ უზრუნველყოფს შეთანხმების მიღწევას, საკითხის გარკვევის მიზნით, მთავრობის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, მოახდინოს პოზიციების შეჯერება.

9. მთავრობის ადმინისტრაცია საკითხის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროექტის მთავრობის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის თაობაზე;

ბ) პროექტის მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით განხილვის შესახებ;

გ) პროექტის განხილვიდან მოხსნისა და ინიციატორი უწყებისათვის დაბრუნების თაობაზე.

10. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ინიციატორი უწყება არ ითვალისწინებს იურიდიული დეპარტამენტის შენიშვნებს, იურიდიული დეპარტამენტი ამზადებს სამართლებრივ დასკვნას, რომელიც დაერთვის განსახილველ პროექტს.

11. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის სხდომაზე, ამ რეგლამენტის II და III თავებით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ, განსახილველ საკითხთა რაოდენობა აღემატება ამ რეგლამენტით განსაზღვრულ ოდენობას, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, ინიციატორ უწყებასთან შეთანხმებით, იღებს გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროექტის დღის წესრიგის პროექტში შეტანის ან მისი უახლოეს მთავრობის სხდომაზე განხილვის შესახებ.

12. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში მატერიალური ფორმით წარდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი მასზე თანდართული მასალებით ექვემდებარება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ინიციატორი უწყებისათვის უკან დაბრუნებას, თუ წარმოდგენის თარიღიდან მომდევნო ორ მთავრობის სხდომაზე არ მოხდა მისი განხილვა ან ამ პერიოდის განმავლობაში მისი ელექტრონული მთავრობის სხდომის ფორმატში გადატანა.

თავი IV

მთავრობის სხდომის გამართვისა და პროექტის მთავრობის სხდომაზე მიღების წესი

მუხლი 13. მთავრობის სხდომის გამართვის პერიოდულობა, ადგილი, დრო

1. მთავრობის სხდომა იმართება წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით, თვეში ერთხელ მაინც.

2. როგორც წესი, მთავრობის სხდომის გამართვის დღეა ხუთშაბათი, 10:00 საათი.

3. მთავრობის სხდომას იწვევს და ხელმძღვანელობს (თავმჯდომარეობს), ასევე მის დღის წესრიგს განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 14. დღის წესრიგის შედგენა

1. მთავრობის სხდომაზე განსახილველი საკითხების დღის წესრიგი დგება მთავრობის ადმინისტრაციის უფროსთან შეთანხმებით, ამ რეგლამენტის II და III თავებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდეგ.

2. მთავრობის სხდომის დღის წესრიგში შესატან პროექტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 საკითხს, გარდა კანონპროექტებისა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის ერთ საკითხად ითვლება ამ რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნების დაცვით წარმოდგენილი ერთიანი პაკეტი.

მუხლი 15. მთავრობის სხდომაზე დასწრება

1. მთავრობის სხდომას ესწრებიან:

ა) მინისტრები ან მათი მოვალეობის შემსრულებლები;

ბ) სახელმწიფო მინისტრ(ებ)ი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი;

გ) სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის საპარლამენტო მდივნები, ამ რეგლამენტის 27-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

დ) მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი;

ე) მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;

ვ) მთავრობის საპარლამენტო მდივანი;

ზ) მთავრობის საპარლამენტო მდივნის მოადგილე;

თ) მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

ი) საკითხის წარმდგენი, მის მიერ ინიციირებული შესაბამისი საკითხის წარდგენისას.

2. პრეზიდენტი უფლებამოსილია დაესწროს მთავრობის სხდომას:

ა) თუ მოითხოვა ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა. აღნიშნული საკითხის განხილვას აგრეთვე ესწრებიან საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და საბჭოს სხვა წევრები;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკითხების მთავრობის სხდომაზე განხილვის შემთხვევაში.

3. ინიციატორი უწყების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსთან შეთანხმებით, მთავრობის სხდომას შეიძლება დაესწრონ უწყების ის თანამდებობის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ პროექტის/საკითხის მომზადებაში.

4. პრემიერ-მინისტრის ან მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით ან საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მთავრობის სხდომას შეიძლება დაესწრონ სხვა პირებიც.

მუხლი 16. მთავრობის სხდომის მიმდინარეობა

1. მთავრობის სხდომას ხელმძღვანელობს (თავმჯდომარეობს) პრემიერ-მინისტრი. მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებით, მთავრობის სხდომა შეიძლება საჯაროდ გამოცხადდეს.

2. მთავრობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მთავრობის არანაკლებ 11 წევრისა.

3. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, შეცვალოს განსახილველი პროექტების თანმიმდევრობა. ინიციატორი უწყების დასაბუთებული თხოვნით, პრემიერმინისტრს შეუძლია მთავრობის სხდომაზე დღის წესრიგს დაამატოს განსახილველი პროექტ(ებ)ი.

4. დღის წესრიგს არ დაემატება:

ა) საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტების პროექტები;

ბ) საქართველოს მთავრობის იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, რომელთა მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგები აღემატება ერთ მილიონ ლარს, გარდა წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული ფონდებიდან თანხის გამოყოფის შემთხვევებისა;

გ) კანონპროექტ(ებ)ი;

დ) საერთაშორისო ხელშეკრულება.

5. მთავრობის სხდომაზე განსახილველი პროექტების დამატებისას, აღნიშნულ პროექტებს მთავრობა, საჭიროების შემთხვევაში, იღებს შენიშვნებით, მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მათი ექსპერტიზის უზრუნველყოფის მიზნით. თუ ექსპერტიზის შედეგად არ დაფიქსირდა შენიშვნები, პროექტი ითვლება შენიშვნების გარეშე მიღებულად.

6. დღის წესრიგში შეტანილ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლის გამოსვლის ხანგრძლივობა, კანონპროექტის შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს, ხოლო სხვა სახის პროექტის შემთხვევაში – 15 წუთს.

7. მთავრობის სხდომის მიმდინარეობისას დგება მთავრობის სხდომის ოქმი, რომელიც ფორმდება მთავრობის სხდომის დასრულების შემდგომ. ოქმში აისახება განსახილველი პროექტის მიმართ მთავრობის სხდომაზე გამოთქმული წინადადებები, შენიშვნები, გაცემული დავალებების შინაარსი და, საჭიროების შემთხვევაში, მათი შესრულების ვადა. ოქმში ასევე აისახება მოკლე ინფორმაცია საკითხზე, რომელიც არ ეხება ინიციირებულ პროექტს, მაგრამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა გაცემულ იქნეს საოქმო დავალება ან მთავრობის მიერ მიღებულ იქნეს ცნობად. ოქმს ხელს აწერენ პრემიერ-მინისტრი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი.

8. ინიციატორი უწყება ვალდებულია, მთავრობის სხდომაზე შენიშვნებით მიღებული სამართლებრივი აქტის კორექტირებული ვერსია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარადგინოს მთავრობის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. აღნიშნული ვადა მოიცავს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მათი ექსპერტიზისათვის საჭირო დროსაც, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს.

მუხლი 17. გადაწყვეტილების მიღება

1. პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მთავრობის დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ნახევრისა.

2. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია მთავრობის სხდომის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 18. მთავრობის სხდომაზე მიღებული აქტის ხელმოწერა

1. პრემიერ-მინისტრი მთავრობის სხდომაზე მიღებულ სამართლებრივ აქტს ხელს აწერს 5 სამუშაო დღეში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. პრემიერ-მინისტრი მთავრობის სხდომაზე შენიშვნებით მიღებულ სამართლებრივ აქტს ხელს აწერს ინიციატორი უწყების მიერ მთავრობის ადმინისტრაციაში სამართლებრივი აქტის კორექტირებული ვერსიის წარდგენიდან 5 სამუშაო დღეში.

თავი V

პროექტის მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე მიღების წესი

მუხლი 19. პროექტის მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე მიღების პროცედურა

1. მთავრობის ადმინისტრაციასთან შეთანხმების პროცედურის დასრულების შემდეგ, პროექტი განიხილება და მიიღება მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე, „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით.

2. მთავრობის წევრები ვალდებულნი არიან, „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში პროექტის ატვირთვიდან 24 საათში მისცენ ხმა საკითხის მიღებას („თანახმა ვარ“, „არ ვეთანხმები“).

3. მთავრობის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ მხარდაჭერის შემთხვევაში, პროექტი ითვლება მთავრობის წევრთა მიერ მიღებულად და იგი „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის „სამართლებრივი აქტის მიღების“ რეჟიმიდან ავტომატურად გადადის შემდეგ ველში – „ხელმოსაწერი სამართლებრივი აქტები“.

მუხლი 20. პროექტის ხელმოწერა

პრემიერ-მინისტრი „ხელმოსაწერი სამართლებრივი აქტების“ ველში განთავსებულ მთავრობის სამართლებრივ აქტს ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით ან მატერიალურ დოკუმენტს ხელს აწერს 5 სამუშაო დღეში.

თავი VI

მთავრობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტისათვის რეკვიზიტების მინიჭებისა და მისი შესაბამისი

ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაგზავნის წესი

მუხლი 21. მთავრობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტისათვის რეკვიზიტის მინიჭება

1. მთავრობის სხდომაზე მიღებულ და ხელმოწერილ სამართლებრივ აქტს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, დადგენილი წესით, რეკვიზიტებს ანიჭებს იმავე ან მეორე სამუშაო დღეს.

2. მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე მიღებული სამართლებრივი აქტი, ელექტრონული ხელმოწერის შემდეგ, რეკვიზიტის მისანიჭებლად, ავტომატურად ეგზავნება მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

3. „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამა მთავრობის სამართლებრივ აქტზე ელექტრონული ხელმოწერისთანავე გამოსახავს საქართველოს სახელმწიფო გერბს, მიღების ადგილს და პრემიერ-მინისტრის ხელმოწერას.

მუხლი 22. სამართლებრივი აქტის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაგზავნა

1. მთავრობის დადგენილება ამ რეგლამენტის 21ე მუხლით დადგენილი პროცედურების შემდეგ, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, იგზავნება სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოსაქვეყნებლად. მთავრობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები ეგზავნება ინიციატორ უწყებას და იმ დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც მიეკუთვნება სამართლებრივ აქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელება, ან რომელთა კომპეტენციაც დგინდება აღნიშნული სამართლებრივი აქტით.

2. მთავრობის მიერ მოწონებული პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის პროექტი, უფლებამოსილი პირის წარდგინებით, იგზავნება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში (შემდგომში – პრეზიდენტის ადმინისტრაცია).

3. მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა იტვირთება მთავრობის ვებგვერდზე.

კარი III

მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესი და ურთიერთობა პარლამენტთან

თავი VII

მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობა

მუხლი 23. მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა

1. მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობა ძირითადად ხორციელდება კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმების მიხედვით.

2. დაუშვებელია მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში იმ კანონპროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროდ გაჟღერება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმაში.

3. მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმები დგება სამთავრობო პროგრამისა და საერთაშორისო ვალდებულებების საფუძველზე სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით.

4. მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა დგება წელიწადში ორჯერ, პარლამენტის თითო სასესიო პერიოდისათვის.

5. მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმას ადგენს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი (შემდგომში – მთავრობის საპარლამენტო მდივანი) სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის საპარლამენტო მდივნების მიერ წარდგენილი და, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობის საპარლამენტო მდივნის მიერ შემუშავებული კანონპროექტების მომზადების გეგმების საფუძველზე.

6. მთავრობის საპარლამენტო მდივანი პასუხისმგებელია მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმის მომზადებაზე.

7. კანონპროექტების მომზადების გეგმაში ასახულ უნდა იქნეს:

ა) კანონპროექტის დასახელება;

ბ) კანონპროექტის მომზადების აუცილებლობის დასაბუთება (პრობლემის არსი და ანალიზი);

გ) კანონპროექტის მოკლე აღწერა (პრობლემის გადაჭრის გზა);

დ) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის მიღებისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრების შესახებ;

ე) თუ კანონპროექტი გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებიდან და ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, მითითება აღნიშნულის შესახებ;

ვ) კანონპროექტის წარდგენის სავარაუდო თარიღი.

8. კანონპროექტების მომზადების გეგმები მთავრობის საპარლამენტო მდივანს უნდა წარედგინოს პარლამენტის სასესიო პერიოდის დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

9. კანონპროექტების მომზადების გეგმით გაუთვალისწინებელი კანონპროექტის მთავრობის საპარლამენტო მდივნისთვის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ან სამართლებრივი აქტით განსაზღვრული/მთავრობის მიერ გაცემული დავალების ან/და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის საპარლამენტო მდივნები მთავრობის საპარლამენტო მდივანს წარუდგენენ დასაბუთებულ წინადადებას. აღნიშნული პროცედურების დაცვის გარეშე დაუშვებელია კანონპროექტის მთავრობის სხდომაზე ინიციირება.

11. მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა, როგორც წესი, პარლამენტის თითო სასესიო პერიოდის დაწყებამდე მთავრობის საპარლამენტო მდივნის მიერ წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

მუხლი 24. კანონპროექტის მომზადების პროცესში მონაწილეობა

1. კანონპროექტის მომზადების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების (ექსპერტებთან, სპეციალისტებთან შეხვედრები; კონფერენციები; კომისიების, სამუშაო ჯგუფების, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების ფარგლებში შეხვედრები და ა.შ.) დაგეგმვის აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამინისტროები, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ი, აღნიშნულის თაობაზე აცნობებენ მთავრობის საპარლამენტო მდივანს და უზრუნველყოფენ აღნიშნულ ღონისძიებებში მთავრობის საპარლამენტო მდივნის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობას.

2. დაუშვებელია ამ რეგლამენტის 23-ე მუხლისა და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე კანონპროექტის მთავრობის სხდომაზე ინიციირება.

მუხლი 25. ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონროექტის გამოქვეყნების ვალდებულება

ამ რეგლამენტის №2 დანართით განსაზღვრულ საკანონმდებლო აქტ(ებ)ში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი საჯარო გაცნობის მიზნით ქვეყნდება სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე, ამ რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 26. კონტროლი

კანონშემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებულ, სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ან/და მთავრობის მიერ გაცემულ დავალებათა შესრულების კონტროლს ახორციელებს მთავრობის საპარლამენტო

მდივანი.

თავი VIII

მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტში წარსადგენი კანონპროექტის მთავრობის სხდომაზე ინიციირების წესი

მუხლი 27. მთავრობის სხდომაზე კანონპროექტის ინიციირების უფლება

მთავრობის სხდომაზე კანონპროექტის ინიციირების უფლება აქვთ საქართველოს სამინისტროებს; საქართველოს სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ს; მთავრობის საპარლამენტო მდივანს (ამ კარის მიზ-ნებისათვის შემდგომში – ინიციატორი უწყება).

მუხლი 28. მთავრობის სხდომაზე კანონპროექტის ინიციირების წესი

1. ინიციატორი უწყება ამ რეგლამენტით დადგენილი წესით შემუშავებულ კანონპროექტს ელექტრონული ფორმით მთავრობის წევრებს შესათანხმებლად უგზავნის „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით.

2. ინფორმაცია საკითხის ინიციირების შესახებ შესაბამის პროექტთან ერთად ელექტრონული ფორმით ეგზავნება მთავრობის ადმინისტრაციას.

მუხლი 29. კანონპროექტი და მასზე თანდართული მასალები

1. ინიციატორი უწყება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს კანონპროექტს.

2. კანონპროექტს თან უნდა ერთოდეს:

ა) განმარტებითი ბარათი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

ბ) მთავრობის განკარგულების პროექტი კანონპროექტზე მომხსენებლის დანიშვნის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება;

დ) დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ე) შესაბამის ორგანოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ლობისტის დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით.

4. კანონპროექტს შეიძლება ახლდეს კანონპროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია.

თავი IX

კანონპროექტის შეთანხმების წესი

მუხლი 30. კანონპროექტის სამინისტროებთან, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)თან წინასწარი შეთანხ მების პროცედურა

1. მთავრობის წევრი ან სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივანი ვალდებუ-ლია, კანონპროექტის ინიციირებიდან არაუგვიანეს 10 დღისა სპეციალურ ველში დააფიქსიროს კანონპრო-

ექტის თაობაზე საკუთარი პოზიცია: „თანახმა ვარ“, „ვეთანხმები შენიშვნით“ ან „არ ვეთანხმები“.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პოზიციის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, მთავრობის წევრი ან სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივანი ვალდებულია, „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში ატვირთოს კანონპროექტის თაობაზე საკუთარი უწყების დასაბუთებული შენიშვნები, თუ:

ა) ეთანხმება შენიშვნით კანონპროექტს;

ბ) არ ეთანხმება კანონპროექტს.

3. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის წევრი ან სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივანი დადგენილ ვადაში არ დააფიქსირებს პოზიციას, საკითხი არ ჩაითვლება მასთან შეთანხმებულად.

4. კანონპროექტი შეთანხმებულად ითვლება, ხოლო შეთანხმების პროცედურა – დასრულებულად, თუ „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში დაფიქსირდა არანაკლებ მთავრობის 9 წევრის ან სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივნის დადებითი პოზიცია („თანახმა ვარ“ ან „ვეთანხმები შენიშვნით“), მათ შორის, სავალდებულოა საქართველოს იუსტიციის მინისტრის, ფინანსთა მინისტრის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ან აღნიშნული სამინისტროების საპარლამენტო მდივნების დადებითი პოზიცია.

5. მთავრობის წევრების ან სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის საპარლამენტო მდივნების მხრიდან შენიშვნების არსებობისას ინიციატორი უწყება, ამ შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში, მთავრობის ადმინისტრაციაში წარადგენს კანონპროექტის კორექტირებულ ვერსიას.

მუხლი 31. კანონპროექტის მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენა

1. მთავრობის სხდომაზე განსახილველი კანონპროექტის მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენა უნდა მოხდეს მთავრობის სხდომის ჩატარებამდე 10 დღით ადრე.

2. ინიციატორი უწყება სათანადო წესით შეთანხმებულ კანონპროექტს მთავრობის წევრის ან სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივნის მიერ ხელმოწერილი კანონპროექტის წარდგენის თაობაზე წერილით წარუდგენს მთავრობის ადმინისტრაციას მატერიალური ფორმით (დედანს).

3. კანონპროექტს, გარდა ამ რეგლამენტის 29-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტებისა, ასევე უნდა ერთოდეს:

ა) მატერიალური ფორმით წარმოდგენილი კანონპროექტის იდენტური ელექტრონული ვერსია (Ms Word-ის ფაილის სახით);

ბ) კანონპროექტის შეთანხმების ფურცელი;

გ) სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის დასაბუთებული შენიშვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. კანონპროექტის შეთანხმების ფურცელში უნდა მიეთითოს:

ა) კანონპროექტის სახელწოდება;

ბ) კანონპროექტის ინიციატორი უწყების სახელწოდება;

გ) კანონპროექტის თაობაზე სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის პოზიციები;

დ) შენიშვნების არსებობისას – სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის დასაბუთებული შენიშვნების მოკლე შინაარსი და კანონპროექტში მათი გაზიარება-არგაზიარების თაობაზე არგუმენტირებული კომენტარი.

5. ამ რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვის გარეშე წარმოდგენილი კანონპროექტი ინიციატორ უწყებას უბრუნდება განხილვის გარეშე.

6. დაუშვებელია ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურის დაცვის გარეშე კანონპროექტის მთავრობის სხდომაზე განხილვა.

მუხლი 32. კანონპროექტის მთავრობის ადმინისტრაციასთან შეთანხმება

1. მთავრობის საპარლამენტო მდივანი კანონპროექტის მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოფს კანონპროექტის შესწავლას როგორც მიზანშეწონილობის, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც მოიცავს სამართლებრივ ექსპერტიზას, შედარებით ანალიზს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიმართულებით.

2. მთავრობის სხდომის დღის წესრიგში შეტანამდე, კანონპროექტი შეიძლება განხილულ იქნეს მთავრობის საპარლამენტო მდივანთან ამ რეგლამენტის 33-ე მუხლით დადგენილი წესით.

3. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა კანონპროექტის დამატებით რომელიმე სხვა, დაინტერესებულ უწყებასთან (უწყებებთან) (მათ შორის, თანამდებობის პირთან/მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან) შეთანხმების საჭიროება, მთავრობის საპარლამენტო მდივანი უზრუნ-ველყოფს კანონპროექტის გადაგზავნას დაინტერესებულ უწყებასთან (უწყებებთან).

4. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, თუ ინიციატორი უწყება ვერ შეათანხმებს დაინტერესებულ უწყე-ბასთან (უწყებებთან) საკითხს, მთავრობის საპარლამენტო მდივანი უზრუნველყოფს პოზიციების შეჯერებას ინიციატორი და დაინტერესებული უწყებ(ებ)ის უფლებამოსილი პირების მონაწილეობით.

5. საკითხის შესწავლის შემდეგ მთავრობის საპარლამენტო მდივანი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწ-ყვეტილებას:

ა) საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონპროექტის მთავრობის სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე;

ბ) კანონპროექტის მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე შეთანხმების თაობაზე;

გ) კანონპროექტის განხილვიდან მოხსნისა და ინიციატორი უწყებისათვის დაბრუნების თაობაზე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას მთავრობის საპარლამენტო მდივანი იღებს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით.

7. მთავრობის საპარლამენტო მდივანი უფლებამოსილია, მიიღოს ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება, თუ:

ა) კანონპროექტი ეხება კანონით გათვალისწინებული თარიღის (ვადის) ან ტერმინოლოგიური ხასიათის ან სხვა სახის ტექნიკური ხასიათის ცვლილებას, თუ იგი არ ცვლის კანონის ზოგად პრინციპსა და ძირითად დებულებებს;

ბ) კანონპროექტი შესაბამისობაში მოდის უპირატესი იურიდიული ძალის მქონე საქართველოს საკანონმდებლო აქტთან, საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებასთან ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებასთან;

გ) კანონპროექტი შესაბამისობაში მოდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან;

დ) კანონპროექტი საკანონმდებლო პაკეტის ნაწილია თანმდევი კანონპროექტის სახით, თუ ძირითადი კანონპროექტი უკვე განხილულ იქნა მთავრობის სხდომაზე და წარმოდგენილი კანონპროექტი არ ეწინააღმ-დეგება ძირითადი კანონპროექტის ზოგად პრინციპსა და ძირითად დებულებებს;

ე) კანონპროექტი ეხება კანონში დაშვებული ხარვეზის გამოსწორებას, თუ იგი არ ცვლის კანონის ზოგად პრინციპსა და ძირითად დებულებებს.

8. კანონპროექტის თაობაზე სამართლებრივი შენიშვნების არსებობისას, მთავრობის საპარლამენტო მდივანი უზრუნველყოფს ინიციატორი უწყების საპარლამენტო მდივანთან პოზიციების შეჯერებას.

9. ინიციატორი უწყების მიერ სამართლებრივი შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მთავრობის სხდომაზე განსახილველ კანონპროექტს დაერთვის მთავრობის საპარლამენტო მდივნის სამართლებრივი დასკვნა.

მუხლი 33. მთავრობის საპარლამენტო მდივანთან კანონპროექტის განხილვის პროცედურები

1. კანონპროექტის განხილვა ხორციელდება მთავრობის საპარლამენტო მდივნის გადაწყვეტილებით.

2. კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობას იღებენ:

ა) კანონპროექტის ინიციატორი უწყების საპარლამენტო მდივანი, კანონპროექტის ავტორი ან/და ინიციატორი უწყების შესაბამისი თანამშრომელი;

ბ) იმ სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივანი, რომელიც არ ეთანხმება, ან ეთანხმება, მაგრამ აქვს შენიშვნები განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით;

გ) სხვა დაინტერესებული უწყების შესაბამისი თანამდებობის პირი.

3. კანონპროექტის განხილვის შემდეგ მთავრობის საპარლამენტო მდივანი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწ-ყვეტილებას:

ა) საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონპროექტის მთავრობის სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე;

ბ) კანონპროექტის მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე შეთანხმების თაობაზე ამ რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

გ) ინიციატორი უწყების მიერ განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, გადამუშავებული კანონპროექტის მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენის თაობაზე;

დ) კანონპროექტის განხილვიდან მოხსნისა და ინიციატორი უწყებისათვის დაბრუნების თაობაზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას მთავრობის საპარლამენტო მდივანი იღებს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით.

თავი X

კანონპროექტის მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე შეთანხმების წესი

მუხლი 34. მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე კანონპროექტის შეთანხმების პროცედურა

1. ამ რეგლამენტის 32-ე/33-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდეგ, მთავრობის ადმინისტრაცია კანონპროექტს სვამს „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის ველში – „კანონპროექტის შეთანხმების რეჟიმი“.

2. მთავრობის წევრები ვალდებულნი არიან, 48 საათში სპეციალურ ველში დააფიქსირონ კანონპროექტის თაობაზე პოზიცია: „თანახმა ვარ“ ან „არ ვეთანხმები“.

3. მთავრობის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ მხარდაჭერის შემთხვევაში, კანონპროექტი ითვლება მთავრობის წევრთა მიერ შეთანხმებულად. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია პრემიერმინისტრის ხმა.

4. ამ მუხლის შესაბამისად შეთანხმებული კანონპროექტის პარლამენტში წარდგენა ხდება ამ რეგლამენტის 37-ე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 35. მთავრობის ელექტრონული სხდომის ოქმი

ამ რეგლამენტის 34-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდეგ დგება მთავრობის ელექტრონული სხდომის ოქმი, რომელშიც აისახება მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე კანონპროექტის შეთანხმების შედეგი და კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

თავი XI

მთავრობის სხდომაზე კანონპროექტის განხილვის, შეთანხმებისა და პარლამენტში წარდგენის წესი

მუხლი 36. მთავრობის სხდომაზე კანონპროექტის განხილვისა და შეთანხმების პროცედურა

1. კანონპროექტის მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარდგენის უფლებამოსილება აქვთ: მთავრობის წევრს; მთავრობის წევრის გადაწყვეტილებით, სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივანს; მთავრობის საპარლამენტო მდივანს.

2. მთავრობის სხდომაზე კანონპროექტი განიხილება და თანხმდება ამ რეგლამენტის IV თავით დადგენილი წესით.

3. მთავრობის სხდომაზე კანონპროექტი შეიძლება შეთანხმებულ იქნეს შენიშვნების გარეშე ან შენიშვნებით.

4. მთავრობის სხდომაზე კანონპროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნები, წინადადებები, გაცემული დავალებების შინაარსი და მათი შესრულების ვადა აისახება მთავრობის სხდომის ოქმში. მთავრობის სხდომის ოქმში ასევე აისახება კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

5. მთავრობის სხდომაზე კანონპროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნების შემთხვევაში, ინიციატორ უწყებას ევალება, მთავრობის სხდომის ოქმში მითითებულ ვადაში კორექტირებული კანონპროექტი წარმოადგინოს მთავრობის ადმინისტრაციაში.

6. პრემიერ-მინისტრი მთავრობის სხდომაზე მიღებულ მთავრობის განკარგულების პროექტს – კანონპროექტზე მომხსენებლის დანიშვნის შესახებ ხელს აწერს, ხოლო მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული დადგენილი წესით რეკვიზიტებს ანიჭებს იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 37. კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის წესი

1. მთავრობის სხდომაზე შენიშვნების გარეშე შეთანხმებული კანონპროექტი (გარდა ამ რეგლამენტის №2 დანართით განსაზღვრული კანონპროექტებისა) შეთანხმებიდან, ხოლო მთავრობის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, ინიციატორი უწყების მიერ კორექტირებული კანონპროექტის მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენიდან 2 დღის ვადაში ეგზავნება პარლამენტს.

2. ამ რეგლამენტის №2 დანართით განსაზღვრულ საკანონმდებლო აქტ(ებ)ში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი საქართველოს მთავრობის სხდომაზე შენიშვნების გარეშე შეთანხმებიდან, ხოლო საქართველოს მთავრობის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, ინიციატორი უწყების მიერ კორექტირებული კანონპროექტის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენიდან 2 დღის ვადაში წარედგინება სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს გამოსაქვეყნებლად, საჯარო გაცნობის მიზნით, ხოლო სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან არაუადრეს 2 კვირისა – საქართველოს პარლამენტს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება, თუ შესაბამისი კანონპროექტი:

ა) ეხება კანონით გათვალისწინებული თარიღის (ვადის) ან ტერმინოლოგიური ხასიათის ან სხვა სახის ტექნიკური ხასიათის ცვლილებას, ასევე კანონში დაშვებული ხარვეზის გამოსწორებას, თუ იგი არ ცვლის კანონის ზოგად პრინციპსა და ძირითად დებულებებს;

ბ) შესაბამისობაში მოდის უპირატესი იურიდიული ძალის მქონე საქართველოს საკანონმდებლო აქტთან, საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებასთან ან/და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან;

გ) საკანონმდებლო პაკეტის ნაწილია თანმდევი კანონპროექტის სახით;

დ) ამ რეგლამენტით განსაზღვრული წესით „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში წინასწარი შეთანხმების მიზნით ატვირთვამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, არანაკლებ 2 კვირის ვადით, ინიციატორი უწყების წარდგინების საფუძველზე გამოქვეყნებულ იქნა სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე, საჯარო გაცნობის მიზნით.

4. პარლამენტში მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს:

ა) განმარტებითი ბარათი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

ბ) მთავრობის განკარგულების ასლი კანონპროექტზე მომხსენებლის დანიშვნის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) მთავრობის სხდომის ოქმიდან ამონაწერი კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

დ) იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება;

ე) დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) შესაბამის ორგანოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ლობისტის დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით.

6. პარლამენტს კანონპროექტი თანდართულ მასალებთან ერთად ეგზავნება მთავრობის წარდგინებით.

7. მთავრობის წარდგინებაში, საჭიროების შემთხვევაში, მიეთითება პარლამენტის რეგლამენტით გათვალის-წინებული კანონპროექტის დაჩქარებული/გამარტივებული წესით, ან რიგგარეშე განხილვის წინადადება/მოთხოვნა.

8. კანონპროექტზე მომხსენებლის დანიშვნის შესახებ ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მთავრობის განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება ან მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განკარგულებით დანიშნულ მომხსენებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეწყვეტილი ან შეჩერებული აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილება, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სამსახურებრივ მივლინებაშია, რის გამოც შეუძლებელია განკარგულებით მისთვის დაკისრებული ფუნქციის შესრულება.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანონპროექტზე მომხსენებლის დანიშვნის შესახებ მთავრობის განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების ან მასში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტს უნდა დაერთოს სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის, შეჩერების ან სამსახურებრივი მივლინების თაობაზე გამოცემული შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თავი XII

მთავრობის მიერ პარლამენტიდან წარმოდგენილი კანონპროექტის შეთანხმების წესი

მუხლი 38. მთავრობის მიერ პარლამენტიდან წარმოდგენილი კანონპროექტის შეთანხმების პროცედურა

1. პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, კანონპროექტი შესათანხმებლად ეგზავნება მთავრობას.

2. პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ ვადაში კანონპროექტი თანხმდება მთავრობასთან და შესაბამისი პოზიცია (დასკვნა) ეგზავნება პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრულ წამყვან კომიტეტს.

3. პარლამენტიდან შესათანხმებლად წარმოდგენილ კანონპროექტზე მთავრობის დასკვნის მომზადებასა და

პარლამენტში წარდგენას უზრუნველყოფს მთავრობის საპარლამენტო მდივანი.

4. პარლამენტის მიერ დადგენილი წესით მთავრობის ადმინისტრაციაში მატერიალური ფორმით წარმოდგენილი კანონპროექტი მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ იმავე დღეს იტვირთება „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში.

5. „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში კანონპროექტის ატვირთვიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა მთავრობის საპარლამენტო მდივანი კანონპროექტს თანდართულ მასალებთან ერთად შესათანხმებლად უგზავნის სამინისტროებსა და სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ს „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით.

6. მთავრობის წევრები ან სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის საპარლამენტო მდივნები ვალდებულნი არიან, მთავრობის საპარლამენტო მდივნის მიერ მითითებულ ვადაში, სპეციალურ ველში დააფიქსირონ კანონპროექტის თაობაზე პოზიცია: „თანახმა ვარ“, „ვეთანხმები შენიშვნით“ ან „არ ვეთანხმები“.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პოზიციის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა მთავრობის წევრი ან სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივანი ვალდებულია, „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში ატვირთოს კანონპროექტის თაობაზე საკუთარი უწყების დასაბუთებული შენიშვნები, თუ:

ა) ეთანხმება შენიშვნით კანონპროექტს;

ბ) არ ეთანხმება კანონპროექტს.

8. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის წევრი ან სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივანი დადგენილ ვადაში არ დააფიქსირებს პოზიციას, საკითხი ჩაითვლება მის უწყებასთან შეთანხმებულად.

მუხლი 39. მთავრობის დასკვნის მომზადება და პარლამენტში წარდგენა

1. სამინისტროებთან, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)თან კანონპროექტის შეთანხმებიდან 2 სამუშაო დღეში მთავრობის საპარლამენტო მდივანი, სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის პოზიციების შეჯერების საფუძველზე, ამზადებს მთავრობის პოზიციას (დასკვნას) და უგზავნის პარლამენტის წამყვან კომიტეტს მატერიალური ფორმით.

2. თუ სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს შორის არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები, ან მთავრობის საპარლამენტო მდივანი არ იზიარებს მათ მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს, მთავრობის საპარლამენტო მდივანი უზრუნველყოფს სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის საპარლამენტო მდივნებთან პოზიციების შეჯერებას და მთავრობის დასკვნის მომზადებას.

3. შენიშვნების თაობაზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საპარლამენტო მდივნის მიერ მომზადებულ მთავრობის დასკვნას დაერთვება სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის დასაბუთებული შენიშვნები.

თავი XIII

მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტის შეთანხმების წესი

მუხლი 40. მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტის შეთანხმება

1. მხოლოდ მთავრობაა უფლებამოსილი, პარლამენტს წარუდგინოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტი.

2. მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტის ინიცი-

ირების, შეთანხმებისა და მთავრობის სხდომაზე განხილვის პროცედურაზე ვრცელდება ამ რეგლამენტის III კარით დადგენილი მოთხოვნები.

თავი XIV

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის შეთანხმების პროცედურა

მუხლი 41. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შეთანხმების წესი

1. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ყოველი წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს.

3. პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით, მთავ-რობა ყოველი წლის 1 ივნისამდე წარუდგენს პარლამენტს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ინფორმაციის თაობაზე, არაუგვიანეს 20 ივნისისა, მთავრობას ეგზავნება პარლამენტის კომიტეტების დასკვნები.

5. საქართველოს სამინისტროები ყოველი წლის 30 ივნისამდე ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს, რომლებიც მოიცავს პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პროგრა-მებსა და ღონისძიებებს.

6. მთავრობა, არაუგვიანეს 10 ივლისისა, იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკე-ბისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შესაბამისი ინფორმაციისა) პირველად ვარიანტს.

7. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შესაბამისი ინფორმაციისა) პარლამენტს წარედგინება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შემდგომ შესაბამისობას.

მუხლი 42. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შეთანხმების წესი

1. მხოლოდ მთავრობაა უფლებამოსილი, პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და მიღება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს განსახილველად წარუდგენს მთავრობას არაუგვიანეს 15 სექტემბრისა.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და ქვეყნის ძირითადი მონაცე-მებისა და მიმართულებების განახლებულ დოკუმენტს მთავრობას წარუდგენს არაუგვიანეს 25 სექტემბრისა.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მხარჯავ დაწესებულებას შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობას წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საკუთარი ვარიანტი, რომელთან დაკავშირებითაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს

საქართველოს მთავრობა.

6. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ინიციირების, შეთანხმებისა და მთავრობის სხდომაზე განხილვის პროცედურაზე ვრცელდება ამ რეგლამენტის III კარით დადგენილი მოთხოვნები, ამ მუხლისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ვადების გათვალისწინებით.

7. მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის შემდეგ, მთავრობის სხდომაზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებისა და გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მთავრობის საპარლამენტო მდივანს უგზავნის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის (მათ შორის, მოხსენებას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ) და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესაბამის, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს პარლამენტში წარსადგენად.

8. არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა მთავრობა პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალებით (მათ შორის, მოხსენებას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ) და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესაბამის, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს.

9. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტში წარდგენისას უნდა დაერთოს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

10. პარლამენტიდან არაუგვიანეს 22 ოქტომბრისა წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თაობაზე საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი განიხილება მთავრობის სხდომაზე.

11. მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის შემდეგ, მთავრობის სხდომაზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებისა და გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მთავრობის საპარლამენტო მდივანს უგზავნის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა (რომლის თითოეული გვერდი ვიზირებულია მის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ) და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს პარლამენტში წარსადგენად. პროექტს უნდა ერთოდეს ინფორმაცია წარდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ, თითოეული მათგანის გათვალისწინების მდგომარეობის მითითებით.

12. მთავრობა, არა უგვიანეს 5 ნოემბრისა, პარლამენტს ხელმეორედ წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად.

13. პარლამენტიდან არაუგვიანეს 15 ნოემბრისა წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტი კიდევ ერთხელ განიხილება მთავრობის სხდომაზე.

14. მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის განხილვის შემდეგ, მთავრობის სხდომაზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებისა და გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მთავრობის საპარლამენტო მდივანს უგზავნის შესაბამისი დოკუმენტების საბოლოო ვარიანტებს.

15. მთავრობა, არაუგვიანეს 30 ნოემბრისა, პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის (რომლის თითოეული გვერდი ვიზირებულია მისი მომზადებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ) და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტებს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად.

16. პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილება შესაძლებელია შეტანილ იქნეს მხოლოდ მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, მთავრობა პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილება ასევე შესაძლებელია შეტანილ იქნეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი.

17. პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვის შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან საქართველოს მთავრობის რომელიმე წევრი პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით.

მუხლი 43. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის შეთანხმების წესი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადება, განხილვა და მიღება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის ინიციირების, შეთანხმებისა და მთავრობის სხდომაზე განხილვის პროცედურაზე ვრცელდება ამ რეგლამენტის III კარით დადგენილი მოთხოვნები, ამ მუხლისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ვადების გათვალისწინებით.

3. შესაბამისი სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის ინიციირებისა და ამ რეგლამენტით დადგენილი სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ კანონპროექტი განიხილება მთავრობის სხდომაზე.

4. მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვის შემდეგ, მთავრობის სხდომაზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებისა და გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, შესაბამისი სამინისტრო მთავრობის საპარლამენტო მდივანს უგზავნის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტს პარლამენტში წარსადგენად.

5. მთავრობა 2 დღის ვადაში პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტს.

6. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტს პარლამენტში წარდგენისას თან ერთვის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

7. პარლამენტიდან 7 დღის ვადაში წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის თაობაზე დასკვნების გათვალისწინებით, შესაბამისი სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გადამუშავებული ვარიანტი განიხილება მთავრობის სხდომაზე.

8. მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვის შემდეგ, მთავრობის სხდომაზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებისა და გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, შესაბამისი სამინისტრო მთავრობის საპარლამენტო მდივანს უგზავნის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის გადამუშავებულ ვარიანტს (რომლის თითოეული გვერდი ვიზირებულია მისი მომზადებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ) პარლამენტში წარსადგენად.

9. მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის გადამუშავებულ ვარიანტს (რომლის თითოეული გვერდი ვიზირებულია პროექტის მომზადებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ) განსახილველად წარუდგენს პარლამენტს დასკვნებისა და წინადადებების (შენიშვნების) მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. პროექტს უნდა ერთოდეს ინფორმაცია წარდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ, თითოეული მათგანის გათვალისწინების მდგომარეობის მითითებით.

10. პლენარულ სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტს წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით განსაზღვრული პირი.

თავი XV

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმების წესი

მუხლი 44. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმების პროცედურა

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის შემდეგ პარლამენტის ბიურო, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და აღნიშნულ ორგანული კანონის პროექტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ერთად გადასცემს მთავრობას.

2. პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში მთავრობა წამყვან კომიტეტს წარუდგენს თავის შენიშვნებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან დაკავშირებით.

3. პარლამენტიდან შესათანხმებლად წარმოდგენილ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაზე მთავრობის დასკვნის მომზადებასა და პარლამენტში წარდგენას უზრუნველყოფს მთავრობის საპარლამენტო მდივანი.

4. პარლამენტის მიერ დადგენილი წესით მთავრობის ადმინისტრაციაში მატერიალური ფორმით წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ერთად მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ იმავე დღეს იტვირთება „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში.

5. „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ერთად ატვირთვიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა მთავრობის საპარლამენტო მდივანი აღნიშნულ ორგანული კანონის პროექტს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას თანდართულ მასალებთან ერთად შესათანხმებლად უგზავნის სამინისტროებსა და სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ს „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით.

6. მთავრობის წევრები ან სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის საპარლამენტო მდივნები ვალდებულნი არიან, მთავრობის საპარლამენტო მდივნის მიერ მითითებულ ვადაში, სპეციალურ ველში დააფიქსირონ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თაობაზე პოზიცია: „თანხმა ვარ“, „ვეთანხმები შენიშვნით“ ან „არ ვეთანხმები“.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პოზიციის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა მთავრობის წევრი ან სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივანი ვალდებულია, „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში ატვირთოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თაობაზე საკუთარი უწყების დასაბუთებული შენიშვნები, თუ:

ა) ეთანხმება შენიშვნით კანონპროექტს;

ბ) არ ეთანხმებიან კანონპროექტს.

8. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის წევრი ან სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპარლამენტო მდივანი დადგენილ ვადაში არ დააფიქსირებს პოზიციას, საკითხი ჩაითვლება მის უწყებასთან შეთანხმებულად.

მუხლი 45. მთავრობის დასკვნის მომზადება და წარდგენა პარლამენტში

1. სამინისტროებთან, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)თან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმების ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღეში მთავრობის საპარლამენტო მდივანი სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის პოზიციების გათვალისწინებით ამზადებს მთავრობის პოზიციას (დასკვნას) და უგზავნის პარლამენტის წამყვან კომიტეტს მატერია-

ლური ფორმით.

2. თუ სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს შორის არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები, ან მთავრობის საპარლამენტო მდივანი არ იზიარებს მათ მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს, მთავრობის საპარლამენტო მდივანი უზრუნველყოფს სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის საპარლამენტო მდივნებთან პოზიციების შეჯერებასა და მთავრობის დასკვნის მომზადებას.

3. შენიშვნების თაობაზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საპარლამენტო მდივნის მიერ მომზადებულ მთავრობის დასკვნას დაერთვება სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრ(ებ)ის აპარატ(ებ)ის დასაბუთებული შენიშვნები.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ამავე რეგლამენტის შესაბამისად, იქმნება შემთანხმებელი კომისია, რომლის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით დასწრება შეუძლია ასევე მთავრობის წარმომადგენელს.

5. პარლამენტის ბიურო, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, შემთანხმებელი კომისიის მიერ წარმოდგენილ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებულ ტექსტებს გადასცემს მთავრობას.

6. მთავრობა, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, 1 კვირის ვადაში პარლამენტის ბიუროს წარუდგენს დასკვნას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებულ ტექსტებთან დაკავშირებით.

თავი XVI

მთავრობის ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე

მუხლი 46. სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში

1. სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში პარლამენტს წარედგინება წელიწადში ერთხელ, საშემოდგომო სესიის პლენარული სხდომების პირველივე კვირაში.

2. პრემიერ-მინისტრი ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ანგარიშს პარლამენტს წარუდგენს სათანადო მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.

3. სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის უწყებებიდან გამოთხოვასა და პარლამენტში წარდგენას უზრუნველყოფს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

კარი IV

მთავრობის ურთიერთობა პრეზიდენტთან

თავი XVII

კონტრასიგნაცია

მუხლი 47. პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაცია

1. პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, გარდა ამ რეგლამენტის 48-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.

2. პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას, მთავრობისთვის და პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენას უზრუნველყოფს მთავრობის საპარლამენტო მდივანი.

3. პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ კონტრასიგნაციის შემთხვევაში.

4. კონტრასიგნაციის შემთხვევაში, სამართლებრივ აქტზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

5. პრეზიდენტის კონტრასიგნებული სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში მოპასუხეა მთავრობა.

მუხლი 48. პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, რომლებიც არ საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას

1. კონტრასიგნაციას არ საჭიროებს პრეზიდენტის შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) საომარი მდგომარეობის დროს გამოცემული აქტები;

ბ) პრეზიდენტის ბრძანება, გარდა კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც, კონსტიტუციის შესაბამისად, გამოცემულია მთავრობის წარდგინებით ან რომლებზედაც მთავრობას მიცემული აქვს წინასწარი თანხმობა.

2. კონტრასიგნაციას არ საჭიროებს პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება:

ა) პარლამენტის არჩევნების დანიშვნასა და მის დათხოვნას კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე, ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის მოწვევას, აგრეთვე პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ან სესიის მოწვევას;

ბ) კანონის ხელმოწერასა და გამოქვეყნებას, აგრეთვე პარლამენტში კანონპროექტის შენიშვნებით დაბრუნებას;

გ) კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა წარდგენას, დანიშვნას, გათავისუფლებასა და გადაყენებას, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

დ) სასამართლოსთვის, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვას;

ე) პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის წამოყენებასა და პრემიერ-მინისტრის დანიშვნას;

ვ) მთავრობისთვის მოვალეობის შესრულების დაკისრებას კონსტიტუციის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ზ) სახელმწიფო ჯილდოებისა და სპეციალური წოდებების მინიჭებას;

თ) მოქალაქეობის მინიჭებასა და შეწყვეტას;

ი) მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვის მოთხოვნას კონსტიტუციის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით;

კ) პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობას;

ლ) საომარი მდგომარეობის გამოცხადებასა და გაუქმებას;

მ) მსჯავრდებულთა შეწყალებას.

მუხლი 49. კონტრასიგნაციის განხორციელების წესი

1. პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა გადაეცემა პრემიერ-მინისტრს. სამართლებრივი აქტის მთავრობის ადმინისტრაციაში მატერიალური ფორმით თანდართულ მასალასთან ერთად წარდგენას უზრუნველყოფს

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი.

2. მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის განხილვამდე მთავრობის საპარლამენტო მდივანი უზრუნველყოფს მის შესწავლას სამართლებრივი თვალსაზრისით.

3. მთავრობის საპარლამენტო მდივნის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი წინასწარი გაცნობის მიზნით გადაეგზავნოთ მთავრობის წევრებს „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით.

4. „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში მთავრობის წევრის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა ან უარყოფითი პოზიცია არ აბრკოლებს სამართლებრივი აქტის განხილვას მთავრობის სხდომაზე.

5. პრემიერ-მინისტრს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით კონტრასიგნაციისათვის გადმოცემული პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი 10 დღის ვადაში გააქვს მთავრობის სხდომაზე ან მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე განსახილველად.

6. თუ მთავრობის სხდომაზე ან მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე ამ რეგლამენტის IV ან V თავით დადგენილი წესით მთავრობა მოიწონებს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს, პრემიერ-მინისტრი მას ხელს აწერს, რითაც კონტრასიგნაცია დასრულებულად ჩაითვლება.

7. კონტრასიგნებული სამართლებრივი აქტი პრემიერ-მინისტრის მიერ გადაეცემა პრეზიდენტს.

8. თუ მთავრობა არ მოიწონებს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს, რომელიც პრემიერ-მინისტრს გადაეცა კონტრასიგნაციისათვის, მთავრობის წევრები ვალდებულნი არიან, მთავრობის სხდომაზე გამოთქმული საკუთარი უწყების შენიშვნები წერილობითი ფორმით გაუგზავნონ მთავრობის საპარლამენტო მდივანს მთავრობის სხდომის ან მთავრობის ელექტრონული სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა.

9. მთავრობის საპარლამენტო მდივანი უზრუნველყოფს უწყებათა პოზიციების შეჯერებასა და მთავრობის სახელით ამზადებს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის კონტრასიგნაციაზე უარის მოტივირებულ შენიშვ-ნებს.

10. მთავრობის მოტივირებულ შენიშვნებს, პრეზიდენტის სამართლებრივ აქტთან ერთად, პრემიერ-მინისტრი გადასცემს პრეზიდენტს მთავრობის სხდომის ან მთავრობის ელექტრონული სხდომის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

11. პრეზიდენტს შეუძლია მომდევნო 10 დღის ვადაში მთავრობის შენიშვნების შესაბამისად ცვლილება შეიტანოს თავის სამართლებრივ აქტში და ამ სახით ხელახლა გადასცეს იგი პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის, რის შემდეგაც მეორდება კონტრასიგნაციისთვის ამ მუხლით დადგენილი პროცედურა.

12. თუ მთავრობა კვლავ არ მოიწონებს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს, პრეზიდენტს აღარ შეუძლია გადასცეს პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის იმავე შინაარსის სამართლებრივი აქტი მისი განმეორებით უარყოფიდან 6 თვის ვადაში.

მუხლი 50. კონტრასიგნაცია დაჩქარებული წესით

1. პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრისათვის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე შეუძლია, მოითხოვოს თავისი სამართლებრივი აქტის დაჩქარებული წესით კონტრასიგნაცია.

2. თუ პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის მიმართვას დაჩქარებული წესით კონტრასიგნაციის შესახებ საკმარისად დასაბუთებულად მიიჩნევს, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი 3 დღის ვადაში განიხილება მთავრობის სხდომაზე ან განხილვა ხორციელდება მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე.

3. კონტრასიგნებული სამართლებრივი აქტი პრემიერ-მინისტრის მიერ გადაეცემა პრეზიდენტს.

4. კონტრასიგნაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, მთავრობის წევრები ვალდებულნი არიან, საკუთარი უწყების შენიშვნები და პოზიცია წერილობითი ფორმით გაუგზავნონ მთავრობის საპარლამენტო მდივანს მთავრობის სხდომის ან მთავრობის ელექტრონული სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა.

5. მთავრობის საპარლამენტო მდივანი უზრუნველყოფს უწყებათა პოზიციების შეჯერებასა და მთავრობის

სახელით ამზადებს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის კონტრასიგნაციაზე უარის მოტივირებულ შენიშ-ვნებს.

6. მთავრობის მოტივირებულ შენიშვნებს პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტს გადასცემს მთავრობის სხდომის ან მთავრობის ელექტრონული სხდომის დასრულებიდან 3 დღის ვადაში.

7. თუ პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის მიმართვას სამართლებრივი აქტის დაჩქარებული წესით კონტრასიგნაციის შესახებ საკმარისად დასაბუთებულად არ მიიჩნევს, კონტრასიგნაცია განხორციელდება ამ რეგლამენტის 49-ე მუხლით დადგენილ ვადებში, რასაც პრემიერ-მინისტრი ოფიციალურად აცნობებს პრეზიდენტს.

მუხლი 51. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ან გაუქმების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების/ საგანგებო მდგომარეობის დროს გამოცემული დეკრეტის კონტრასიგნაცია

1. პრეზიდენტის ბრძანებულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ან გაუქმების შესახებ, ასევე პრეზიდენტის დეკრეტი, რომელიც გამოცემულია საგანგებო მდგომარეობის დროს, კონტრასიგნაციისათვის გადაეცემა პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერისთანავე. სამართლებრივი აქტის წარდგენას უზრუნველყოფს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი.

2. პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტის ბრძანებულება/დეკრეტი 24 საათის განმავლობაში გააქვს მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

3. თუ მთავრობა ამ რეგლამენტის IV თავით დადგენილი წესით, მოიწონებს პრეზიდენტის ბრძანებულებას/დეკრეტს, პრემიერ-მინისტრი დაუყოვნებლივ ახორციელებს კონტრასიგნაციას, რომელიც გადაეცემა პრეზიდენტს. ხოლო თუ მთავრობა არ მოიწონებს პრეზიდენტის ბრძანებულებას/დეკრეტს, პრეზიდენტს უფლება არა აქვს, მიმართოს პრემიერ-მინისტრს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ან გაუქმების შესახებ ბრძანებულების/დეკრეტის კონტრასიგნაციის მოთხოვნით მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

თავი XVIII

პრეზიდენტის უფლებამოსილებების მთავრობასთან შეთანხმება/მთავრობის წარდგინებით განხორციელება

მუხლი 52. პრეზიდენტის უფლებამოსილებები, რომლებიც საჭიროებს მთავრობასთან შეთანხმებას

1. პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

ა) სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმოება;

ბ) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება;

გ) სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციის მიღება;

დ) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრთა კანდიდატურების პარლამენტისთვის წარდგენა;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის დასამტკიცებლად წარდგენა;

ვ) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, სხვა მხედართმთავრების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გადაყენება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჭიროა მთავრობის წინასწარი თანხმობა.

მუხლი 53. პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული წინადადების (სამართლებრივი აქტის) მთავრობასთან შეთანხმების წესი

1. ამ რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული წინადადების (სამართლებრივი აქტის) შეთანხმება ხორციელდება ამ რეგლამენტის XIX თავით დადგენილი წესით.

2. ამ რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ – ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ წინადადების (სამართლებრივი აქტის) მთავრობის ადმინისტრაციაში შესაბამის თანდართულ მასალასთან ერთად წარდგენას უზრუნველყოფს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი.

3. მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის წინადადების (სამართლებრივი აქტის) განხილვამდე მთავრობის საპარლამენტო მდივანი უზრუნველყოფს მის შესწავლას სამართლებრივი თვალსაზრისით.

4. მთავრობის საპარლამენტო მდივნის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, პრეზიდენტის წინადადება (სამართლებრივი აქტი) წინასწარი გაცნობის მიზნით გადაეგზავნოთ მთავრობის წევრებს „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით.

5. „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში მთავრობის წევრის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა ან უარყოფითი პოზიცია არ აბრკოლებს პრეზიდენტის წინადადების (სამართლებრივი აქტის) განხილვას მთავრობის სხდომაზე.

6. პრეზიდენტის წინადადება (სამართლებრივი აქტი), მისი წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში განიხილება მთავრობის სხდომაზე ან მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე.

7. თუ მთავრობის სხდომაზე ან მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე ამ რეგლამენტის IV ან V თავით დადგენილი წესით მთავრობა თანხმობას მისცემს (მთავრობის თანხმობა მიიღება განკარგულების სახით) პრეზიდენტის წინადადებას (სამართლებრივ აქტს), მთავრობის განკარგულება დაუყოვნებლივ ეგზავნება პრეზიდენტს.

8. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მიიღება მთავრობის შესაბამისი განკარგულება, რაც ასევე ეგზავნება პრეზიდენტს.

9. პრეზიდენტი უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომაზე მისი წინადადების (სამართლებრივი აქტის) განხილვის პროცესში. ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტის წინადადება განიხილება ამ რეგლამენტის IV თავით დადგენილი წესით.

მუხლი 54. პრეზიდენტის უფლებამოსილებები, რომლებიც ხორციელდება მთავრობის წარდგინებით

1. პრეზიდენტი მთავრობის წარდგინების საფუძველზე ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

ა) პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას;

ბ) ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს;

გ) უფლებამოსილია, პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას.

2. პრეზიდენტისათვის წარსადგენ, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ წინადადებას, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობის ადმინისტრაციას წარმოუდგენს შესაბამისი უწყება მატერიალური ფორმით, შესაბამის თანდართულ დოკუმენტებთან და მთავრობის განკარგულების პროექტთან ერთად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პრეზიდენტისათვის წინადადების წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად მთავრობას წინადადებას წარუდგენს პრემიერ-მინისტრი ან შესაბამისი სამინისტრო.

4. წინადადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხდება მთავრობის უახლოეს ან მომდევნო სხდომაზე

ამ რეგლამენტის IV თავით დადგენილი წესით ან მთავრობის საპარლამენტო მდივნის გადაწყვეტილებით, მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე ამ რეგლამენტის V თავით დადგენილი წესით (მთავრობის გადაწყვეტილება მიიღება განკარგულების სახით).

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხის შესახებ მთავრობის წარდგინება პრეზიდენტს გადაეცემა მთავრობის მიერ, წარდგინების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების შესახებ წარდგინება პრეზიდენტს გადაეცემა მთავრობის მიერ, წარდგინების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა.

კარი V

მთავრობის კომპეტენცია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასა და მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით

თავი XIX

საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული საკითხების მთავრობასთან შეთანხმება

მუხლი 55. საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე რეკომენდაციების შეთანხმება

1. საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ პარლამენტის, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები, მათ შორის, პრეზიდენტისათვის წარდგენილი რეკომენდაციები, რომლებიც მოწონებულ იქნა მის მიერ და მათი მხარდაჭერის თხოვნით გადაეცა მთავრობას, მთავრობის საპარლამენტო მდივნის მიერ განსაზღვრულ ვადაში განიხილება მთავრობის სხდომაზე ან მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე ამ რეგლამენტის IV ან V თავით დადგენილი წესით.

2. მთავრობა, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, რეკომენდაციის მოწონების შემთხვევაში, რეკომენდაციის წარდგენიდან 2 თვის ვადაში ავალებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოამზადოს წინადადება აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე.

მუხლი 56. საერთაშორისო ხელშეკრულების დადების ან საერთაშორისო ხელშეკრულებაში საქართველოს მონაწილეობის განზრახვის თაობაზე წინადადებების შეთანხმება

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამ რეგლამენტის 57-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით, მთავრობას წარუდგენს წინადადებას საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე, ხოლო თუ საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილეობა საჭიროებს ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოს (საერთაშორისო ორგანიზაციის) წინასწარ თანხმობას – წინადადებას საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილეობის განზრახვის შესახებ.

2. წინადადება საერთაშორისო ხელშეკრულების დადების ან მასში მონაწილეობის განზრახვის თაობაზე მთავრობის საპარლამენტო მდივნის მიერ განსაზღვრულ ვადაში განიხილება მთავრობის სხდომაზე ან მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე ამ რეგლამენტის IV ან V თავით დადგენილი წესით. მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს განკარგულების სახით.

3. თუ მთავრობა მოიწონებს, ამ რეგლამენტის 55-ე მუხლით დადგენილი წესით, პრეზიდენტის მიერ წარდგენილი რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ წინადადებას საერთაშორისო ხელშეკრულების დადების ან მასში მონაწილეობის განზრახვის თაობაზე, აღნიშნული წინადადება გადაეცემა პრეზიდენტს.

4. წინადადებას, იმ უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე, რომელიც მოითხოვს საქართველოს ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო წარუდგენს მთავრობას.

მუხლი 57. მთავრობის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკების გამართვა და მათი

ხელმოწერა

1. სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკების გამართვისა და მათი ხელმოწერის შესახებ მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ დოკუმენტებს მატერიალური ფორმით წარადგენს მთავრობის ადმინისტრაციაში.

2. მოლაპარაკების გამართვისა და საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, მთავრობას წარედგინება:

ა) საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტი ქართულ ენაზე, შესაბამის უცხოურ ენაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნა საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესაძლო საგარეო-პოლიტიკური შედეგების შესახებ;

გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნა საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ;

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნა საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესაძლო საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესახებ;

ე) საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს შესაბამისი სამინისტროს/საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა;

ვ) შეთანხმების ფურცელი, სადაც აისახება დაინტერესებული უწყებების მიერ ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებული დასაბუთებული შენიშვნების მოკლე შინაარსი და მათი გაზიარება-არგაზიარების თაობაზე არგუმენტირებული კომენტარი;

ზ) მთავრობის/პრემიერ-მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი (პროექტები);

თ) საჭიროების შემთხვევაში, პროექტი საქართველოს ნორმატიულ აქტში/აქტებში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელსაც გავლილი აქვს ამ რეგლამენტის 27-ე – 30-ე მუხლებით განსაზღვრული წინასწარი შეთანხმების პროცედურა.

3. მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულების შესწავლასა და მთავრობის სხდომაზე განსახილველად მომზადებას უზრუნველყოფს მთავრობის საპარლამენტო მდივანი.

4. თუ საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოდგენილია ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების დარღვევით ან გამოიკვეთა ხარვეზი, რის გამოც იგი ვერ განიხილება მთავრობის სხდომაზე, მთავრობის საპარლამენტო მდივანი უფლებამისილია, საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუბრუნოს საერთაშორისო ხელშეკრულება ხარვეზის გამოსასწორებლად, შესაბამისი შენიშვნებით.

5. საერთაშორისო ხელშეკრულება მთავრობის საპარლამენტო მდივნის მიერ განსაზღვრულ ვადაში განიხილება მთავრობის სხდომაზე ან მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე, ამ რეგლამენტის IV ან V თავით დადგენილი წესით.

6. უპირატესობა ენიჭება და რიგგარეშე განიხილება საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც შეეხება ფინანსურ საკითხებს (ინვესტიცია, სესხი), საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, დაკავშირებულია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან.

7. თუ მთავრობა ამ რეგლამენტით დადგენილი წესით მიიღებს გადაწყვეტილებას მოლაპარაკების გამართვის ან/და საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ (მთავრობის გადაწყვეტილება მიიღება განკარგულების სახით), მთავრობის შესაბამისი განკარგულება არა უგვიანეს მე-2 დღისა ეგზავნება საგარეო საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 58. პრეზიდენტის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკების გამართვა და მათი ხელმოწერა

1. თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი საერთაშორისო

ხელშეკრულების დადება, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეკუთვნება, სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების გამართვისა და მათი ხელმოწერის შესახებ პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საერთაშორისო ხელშეკრულება თანდართულ მასალასთან ერთად მთავრობის საპარლამენტო მდივნის მიერ იგზავნება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

2. საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების გამართვისა და მათი ხელმოწერის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტი საერთაშორისო ხელშეკრულებასა და თანდართულ მასალასთან ერთად პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მიერ იგზავნება მთავრობის ადმინისტრაციაში, მთავრობასთან შეთანხმებისა და პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციის მისაღებად.

3. წარმოდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულების შესწავლასა და მთავრობის სხდომაზე განსახილველად მომზადებას უზრუნველყოფს მთავრობის საპარლამენტო მდივანი.

4. პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და თანდართულ მასალასთან ერთად მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში განიხილება მთავრობის სხდომაზე ან მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე.

5. თუ მთავრობის სხდომაზე ან მთავრობის ელექტრონულ სხდომაზე ამ რეგლამენტის IV ან V თავით დადგენილი წესით მთავრობა მოიწონებს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს (მთავრობის თანხმობა მიიღება განკარგულების სახით), პრემიერ-მინისტრი მას ხელს აწერს, რითაც კონტრასიგნაცია დასრულებულად ჩაითვლება.

6. კონტრასიგნებული სამართლებრივი აქტი გადაეცემა პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის მიერ.

7. პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის მოწონების თაობაზე მთავრობის განკარგულების საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნას უზრუნველყოფს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

8. თუ მთავრობა არ მოიწონებს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს, მთავრობის წევრები ვალდებულნი არიან, მთავრობის სხდომაზე გამოთქმული საკუთარი უწყების შენიშვნები წერილობითი ფორმით გაუგზავნონ მთავრობის საპარლამენტო მდივანს მთავრობის სხდომის ან მთავრობის ელექტრონული სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა.

9. მთავრობის საპარლამენტო მდივანი უზრუნველყოფს უწყებათა პოზიციების შეჯერებას და მთავრობის სახელით ამზადებს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის კონტრასიგნაციაზე უარის მოტივირებულ შენიშვ-ნებს.

10. მთავრობის მოტივირებულ შენიშვნებს, პრეზიდენტის სამართლებრივ აქტთან ერთად, პრემიერ-მინისტრი გადასცემს პრეზიდენტს მთავრობის სხდომის ან მთავრობის ელექტრონული სხდომის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

11. პრეზიდენტს შეუძლია, მომდევნო 10 დღის ვადაში მთავრობის შენიშვნების შესაბამისად ცვლილება შეიტანოს თავის სამართლებრივ აქტში და ამ სახით ხელახლა გადასცეს იგი პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის, რის შემდეგაც მეორდება კონტრასიგნაციისთვის ამ მუხლით დადგენილი პროცედურა.

12. თუ მთავრობა კვლავ არ მოიწონებს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს, პრეზიდენტს აღარ შეუძლია გადასცეს პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის იმავე შინაარსის სამართლებრივი აქტი მისი განმეორებით უარყოფიდან 6 თვის ვადაში.

მუხლი 59. უფლებამოსილება საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაზე

1. უფლებამოსილებას სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით გასცემს პრემიერ-მინისტრი ბრძანებით, რომელიც არაუგვიანეს მე-2 დღისა ეგზავნება საგარეო საქმეთა სამინისტროს.

2. თუ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულების დადება პრეზიდენტის

უფლებამოსილებას განეკუთვნება, უფლებამოსილებას სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით გასცემს პრეზიდენტი ბრძანებულებით, რომელიც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.

3. პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს უფლება აქვთ, განახორციელონ საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ყველა სახის მოქმედება უფლებამოსილების წარდგენის გარეშე.

მუხლი 60. საქართველოს იმ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება (ან მასთან შეერთება), რომელიც რატიფიცირებას არ ექვემდებარება

1. საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცების (ან მასთან შეერთების) შესახებ, რომელიც არ ექვემდებარება პარლამენტის მიერ რატიფიცირებას (ან მასთან შეერთებას) და ძალაში შესვლისათვის საჭიროებს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელებას, მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს დადგენილებით. საერთაშორისო ხელშეკრულების მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ რეგლამენტის 57-ე მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

2. თუ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულების დადება პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეკუთვნება, საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცების (ან მასთან შეერთების) შესახებ, რომელიც არ ექვემდებარება პარლამენტის მიერ რატიფიცირებას (ან მასთან შეერთებას) და ძალაში შესვლისათვის საჭიროებს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელებას, გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით ბრძანებულებით, რომელიც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას. საერთაშორისო ხელშეკრულების პრეზიდენტისათვის გადაცემა, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის მთავრობასთან შეთანხმება და კონტრასიგნაცია ხორციელდება ამ რეგლამენტის 58-ე მუხლით დადგენილი წესით.

თავი XX

საერთაშორისო ხელშეკრულების პარლამენტისათვის წარდგენის წესი

მუხლი 61. საერთაშორისო ხელშეკრულების მთავრობის სხდომაზე განხილვა და რატიფიცირებისათვის (ან მასთან შეერთებისათვის) პარლამენტში წარდგენა

1. იმ საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, რომელიც ითვალისწინებს რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება (ან მასთან შეერთება), რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;

ბ) სამხედრო ხასიათისაა;

გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;

დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან;

ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას;

ვ) რატიფიცირებას საჭიროებს სხვა საკანონმდებლო აქტის თანახმად.

2. პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ მიმართავს მთავრობა, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობას პარლამენტი გამოხატავს, სარატიფიკაციოდ წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების (განკარგულების) მისაღებად განიხილება მთავრობის სხდომაზე. საერთაშორისო ხელშეკრულების მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენა, განხილვა და მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ამ რეგლამენტის 57-ე მუხლით დადგენილი წესით.

4. მთავრობის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საერთაშორისო ხელშეკრულება მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის პარლამენტს წარედგინება „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ფორმითა და წესით.

5. პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ მიმართავს პრეზიდენტი, რაც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას, თუ:

ა) საერთაშორისო ხელშეკრულება დადებულია პრეზიდენტის მიერ;

ბ) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;

გ) სამხედრო ხასიათისაა;

დ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას.

6. საერთაშორისო ხელშეკრულების მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენა, მისი პრეზიდენტისათვის გადაგზავნა, კონტრასიგნაცია ხორციელდება ამ რეგლამენტის 58-ე მუხლით დადგენილი წესით.

7. საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების (ან მასთან შეერთების) შესახებ მიღებული პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გასცემს სარატიფიკაციო სიგელს, რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

8. თუ საერთაშორისო ხელშეკრულება დადებულია პრეზიდენტის მიერ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული სიგელი გადაეცემა პრეზიდენტს ხელმოსაწერად. პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ სიგელს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი (კონტრასიგნაცია) და ადასტურებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

მუხლი 62. წინადადებები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე

1. წინადადებას იმ საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე, რომლის საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა გამოხატა მთავრობამ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო წარუდგენს მთავრობას.

2. თუ საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა გამოხატა პრეზიდენტმა მთავრობასთან შეთანხმებით, პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მიღებულ წინადადებას საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე მთავრობა გადასცემს პრეზიდენტს.

3. წინადადებას საქართველოს იმ საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე, რომლის საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა გამოხატა პარლამენტმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით მთავრობა, ხოლო თუ საერთაშორისო ხელშეკრულება დადებულია პრეზიდენტის მიერ – პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით, რაც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას, წარუდგენს პარლამენტს. საკითხის მთავრობასთან შეთანხმება და პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაცია ხორციელდება ამ რეგლამენტის 58-ე მუხლით დადგენილი წესით.

4. წინადადება საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე უნდა შეიცავდეს: ხელშეკრულების დედნის დამოწმებულ ასლს (ქართულ ენაზე), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას მისი მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების შესაძლო საგარეო-პოლიტიკური შედეგების შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნას ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნას საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესახებ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს შესაბამისი სამინისტროს/საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნას.

კარი VI

თავი XXI

წარმომადგენლობა სასამართლოებში და ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა

მუხლი 63. მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლობა სასამართლოებში

მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, მათ შორის, კონტრასიგნებული პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის გასაჩივრების შემთხვევაში, წარმომადგენლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს იურიდიული დეპარტამენტი.

მუხლი 64. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა

1. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, ადმინისტრაციული საჩივრის გადასაწყვეტად დანიშნოს დამოუკიდებელი ორგანო.

2. მთავრობის ან პრემიერ-მინისტრის სახელზე წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს იურიდიული დეპარტამენტი.

3. იურიდიული დეპარტამენტი უფლებამოსილია, თითოეულ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჩაატაროს ზეპირი მოსმენა და გამოიყენოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ნორმები.

4. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დასრულების შემდეგ მიიღება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

5. იურიდიული დეპარტამენტი ამზადებს მთავრობის ან პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტის პროექტსა და ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმს, რომელიც თან ერთვის პროექტს.

6. მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების მიღების, მიღებაზე უარის თქმის, განხილვისა და უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იურიდიული დეპარტამენტი.

თავი XXII

მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოები

მუხლი 65. მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი

1. აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებული სხვადასხვა საკითხის მოსამზადებლად იქმნება მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო – კომისია/საბჭო (შემდგომში – სათათბირო ორგანო).

2. სათათბირო ორგანოს ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს, ამ ორგანოს შექმნისას, განსაზღვრავს შესაბამისად, მთავრობა ან პრემიერ-მინისტრი.

3. სათათბირო ორგანოს უფლება აქვს, სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები.

4. სათათბირო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები განსაზღვრულ ვადაში უნდა წარედგინოს შესაბამისად, მთავრობას ან პრემიერ-მინისტრს.

თავი XXIII

ელექტრონული პეტიციების განხილვის წესი

მუხლი 66. მთავრობის მიერ ელექტრონული პეტიციების განხილვა

1. მთავრობის ელექტრონულ პორტალზე განთავსებული ელექტრონული პეტიცია, რომელმაც „ელექტრონული პეტიციების წარსადგენად ელექტრონული პორტალის (ichange.gov.ge) შექმნისა და ამ პორტალით სარგებლობის წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 18 მაისის №245 დადგენილებით დამტკიცებული წესითა და პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები დააკმაყოფილა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შექმნილი ელექტრონული პეტიციის ექსპერტების კომისიის ინიციატივით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსთან შეთანხმებით, შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს ელექტრონული პეტიციით გათვალისწინებული საკითხის ინიციირებას ელექტრონული მთავრობის პროგრამაში.

3. ელექტრონული მთავრობის პროგრამაში ინიციირებული ელექტრონული პეტიციის შეთანხმება ხორციელდება ამ რეგლამენტის II და III თავებით დადგენილი წესით.

თავი XXIV

სხვა დოკუმენტების განხილვის წესი

მუხლი 67. სხვა დოკუმენტების განხილვის პროცედურა

1. სხვა დოკუმენტები (ინფორმაცია, ანგარიში, მოხსენება და სხვ.), რომლებიც საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის ფორმაში ვერ ექცევა, თუმცა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა გაეცნოს საქართველოს მთავრობას საკითხის მნიშვნელობის ან/და კოორდინაციის გეგმის შემუშავების მიზნით, ასევე განიხილება ელექტრონული მთავრობის პროგრამაში მთავრობის სამართლებრივი აქტის შეთანხმების პირველი ეტაპისათვის ამ რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

2. შეთანხმების პირველი ეტაპის გავლის შემდეგ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტები ითვლება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებულად ან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

კარი VII

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

თავი XXV

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი – საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი

მუხლი 68. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სტატუსი და კომპეტენცია

1. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქართველოს ადმინისტრაციულტერიტორიულ ერთეულებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

2. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხას და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთებს, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულებას ამტკიცებს მთავრობა.

3. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი:

ა) მთავრობის დავალებით, კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალკეული ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) მთავრობის დავალების შემთხვევაში, კოორდინაციას უწევს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას;

გ) უფლებამოსილია, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში.

4. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სამართლებრივი აქტია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის განკარგულება, რომელსაც კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით აუქმებს მთავრობა.

5. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, მთავრობა სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებისას უფლებამოსილია, სახელმწიფო რწმუნებულისაგან – გუბერნატორისაგან მოითხოვოს სამართლებრივი აქტები და სხვა დოკუმენტები, მიიღოს განმარტებები და დასკვნები.

დანართი №1

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია პროექტის შესახებ

_____

_____

_____

(აისახება ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ, მისი მიღების მიზეზი და მიზანი; საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივი აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება)

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

_____

_____

_____

(აისახება ინფორმაცია პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების ოდენობის, პროექტის დაფინანსების წყაროს, ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე მისი გავლენის, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებების თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

_____

_____

_____

(აისახება ინფორმაცია იმ სამართლებრივი ურთიერთობ(ებ)ისა და პირის (პირთა წრის) შესახებ, რომლებზეც გავლენას მოახდენს სამართლებრივი აქტის მიღება)

პროექტის განხორციელების ვადები

_____

_____

_____

(მიეთითება პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებ(ებ)ის შესასრულებლად საჭირო ვადის თაობაზე)

პროექტის ავტორ(ებ)ი და წარმდგენი

_____

_____

_____

(მიეთითება პროექტის ავტორი და წარმდგენი, ხოლო თუ პროექტის ავტორი და წარმდგენი სხვადასხვა პირია, მაშინ აღინიშნება ინფორ-მაცია ორივეს შესახებ).

დანართი №2

1. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

2. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“;

3. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;

4. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;

5. საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“;

6. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“;

7. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;

8. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

9. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“;

10. საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“;

11. საქართველოს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“;

12. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“;

13. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“;

14. საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;“

15. საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;

16. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“;

17. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“;

18. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“;

19. საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“;

20. საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“.